თეა ქართველიშვილი
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ბეჟან ხორავა
საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

Tea Kartvelishvili
Senior Researcher at the K. Kekelidze
Georgian National Centre of Manuscripts

Bezhan Khorava
Senior Researcher at theTamaz Beradze
Institute of Kartvelology at the University of Georgia

შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების დამორჩილების მცდელობა რუსეთის ხელისუფლების მიერ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში

(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციების მიხედვით)

აბსტრაქტი

შიდა ქართლის მთიანეთში, ქართლის სამეფო ხელისუფლების ხელშეწყობით, XVII-XVIII საუკუნეებში ოსების გადმოსახლება მიმდინარეობდა. დიდი და პატარა ლიახვის სათავეებში გადმოსახლებული ოსები სამეფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ფეოდალების ყმები ხდებოდნენ. ოსები ზოგჯერ არ ამართლებდნენ სამეფო ხელისუფლების და ადგილობრივი ფეოდალების იმედებს: გადასახადს არ იხდიდნენ, ქურდობდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას იკლებდნენ, ტყვედ მიჰყავდათ ისინი. ამიტომ ადგილობრივი ფეოდალები მათ აყრას ითხოვდნენ. სამეფო ხელისუფლება წესრიგის დამყარებას ცდილობდა. შიდა ქართლის მთიანეთში გადმოსახლებული ოსები რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც აგრძელებდნენ ქართულ სოფლებზე თავდასხმას, ძარცვავდნენ ეკლესიებს, მიერეკებოდნენ საქონელს. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლება ოსების დამორჩილებას შეეცადა. იმავდროულად, შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები არ ცნობდნენ ცარიზმის ხელისუფლებას და ქართველი უფლისწულების დროშის ქვეშ რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ოსები საქართველოში

ჩამოსახლების პერიოდში წარმართები იყვნენ. რუსული ხელისუფლება მათ გაქრისტიანებას ცდილობდა.

XIX საუკუნის შუა ხანებში რუსეთის ხელისუფლებამ შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები სამხედრო-ადმინისტრაციულ მმართველობას დაუმორჩილა.

საძიებო სიტყვები: ოსები, შიდა ქართლი, რუსული მმართველობა, ქართველი უფლისწულები.

An attempt to subjugate the Ossetians living in the Shida Kartli highlands by the Russian authorities in the first half of the XIX century

(According to the collections kept in the K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts)

Abstract

The resettlement of Ossetians in the XVII-XVIII centuries to the Shida Kartli highlands took place with the assistance of the royal government of Kartli. Ossetians, resettled to the sources of Didi and Patara Liakhvi, became serfs of the royal government or local feudal lords. The Ossetians sometimes did not justify the hopes of the royal government and local feudal lords. They did not pay taxes, ravaged the local population, plunder, and kidnapped. Therefore, local feudal lords demanded their eviction. The royal government tried to restore order.

The Ossetians resettled to the Shida Kartli highlands continued to attack Georgian villages, robchurches, and steal cattle even after the establishment of Russian power. The Russian government tried to subjugate the Ossetians at the beginning of the XIX century. The Ossetians living in the Shida Kartli highlands did not recognize the Tsarist power and fought against the Russian colonial regime under the flag of Georgian princes. At the time of their resettlement to Georgia, Ossetians were pagans. The Russian government actively tried to convert them to Christianity.

In the middle of the XIX century, the Russian Government subordinated the Ossetians living in the Shida Kartli highlands to the military administration.

Keywords: Ossetians, Shida Kartli, Russian government, Georgian princes.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის შესახებ, ასეულობით საბუთია დაცული. საბუთები მრავალფეროვანი შინაარსისაა და რეგიონის ისტორიას სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს. საბუთებში ასახულია ოსების გადმოსახლება და დამკვიდრება შიდა ქართლის მთიანეთში, სამეფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თავად-აზნაურების ურთიერთობა ოსებთან, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ოსების მონაწილეობა ანტისამთავრობო

გამოსვლებში, კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მიერ შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების დამორჩილების ხანგრძლივი პროცესი და სხვა საკითხები. ამ დოკუმენტების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი ჯერ კიდევ არ არის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული. სამწუხაროდ, როდესაც მკვლევრები აღნიშნულ საკითხებს ეხებიან, ძირითადად სარგებლობენ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ან გამოქვეყნებული, მათ შორის, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მასალებით, ხოლო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დოკუმენტები ყურადღების მიღმა რჩება. ჩვენი კვლევა სწორედ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას და, შესაბამისად, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის განმტკიცებას ისახავს მიზნად.

ოსების პირველი სოფლები შიდა ქართლის მთიანეთში დიდი ლიახვის სათავეებში გაჩნდა. შიდა ქართლში გადმოსახლებული ოსები თემებად ცხოვრობდნენ, რომელთაც დიდგვაროვნები განაგებდნენ. ოსების დამკვიდრება შიდა ქართლის მთიანეთში თავდაპირველად ბრძოლით ხდებოდა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ერთი დოკუმენტი, სადაც ასახულია ის უმძიმესი ვითარება, რომელიც დიდი ლიახვის სათავეებში ოსთა შემოსევების შედეგად შეიქმნა. დოკუმენტი უთარიღოა, თუმცა ტექსტში მოხსენიებული პირების და ხელის მიხედვით XVII საუკუნით თარიღდება - ,,მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაალ მაჩაბლებისადმი". მასში ნათქვამია: *,,ამოსწყდა ზემო-ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან. ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომე კაცის ნაშენები აღარა იყო-რა".* ასეთ ვითარებაში ივანემ და ზაქარიამ ზემო ჯავაში *,,ძიგანიძის მამული მისითა სასაფლაოთა, სახნავითა, სათიბითა, წყალითა, საწისქუილოთა, მთითა და ბარითა, მისისა ნასყიდის ვენახითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა"* ქუაბულ და ზაალ მაჩაბლებს მიყიდეს. ძიგანიძე და მისი მემკვიდრე დაკარგულან და ეს მამული ივანე და ზაქარიას სამკვიდრო ყოფილა. იქვე, ისინი ძალიან ემადლიერებიან მაჩაბლებს, რომ ასეთ მძიმე დროს იყიდეს მამული: *,,ასეთს დროს მოგყიდეთ, რომე ორგან სამგან დედამ შვილი შეჭამა, კაცმან ცოლი გაყიდის და თავათ დარჩის. ჩუენ თვით ასრე დაგვემართა, რომე ათის სულის ჯალაბისაგან ხუთის მეტი აღარ მორჩა. ჩუენის მკუიდრის მამულის ნავაჭრი ფასი მივასწარით და ღუთით დავრჩით. ღმერთმან დაგიმადლოს, რომე ჩუენი მკუიდრი მამული იყიდეთ და დაგუარჩინეთ, თვარემ სრულებით ამოვსწყდებოდით..."* (Hd-1959, 1621-1650 წწ.).

მიუხედავად ამისა, XVII-XVIII საუკუნეებში ოსების გადმოსახლება შიდა ქართლის მთიანეთში ძირითადად მშვიდობიანად ხდებოდა, სამეფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი ფეოდალების ნებით, რაც დოკუმენტური და ნარატიული წყაროებით დასტურდება. ლიახვის ხეობის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა: *,,ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან"* (ბატონიშვილი, 1973, გვ. 363-364). შიდა ქართლის მთიანეთში გადმოსახლებული ოსები

სამეფო სახლის ან ადგილობრივი ფეოდალების - მაჩაბლების, ქსნის ერისთავების, ფალავანდიშვილების თუ სხვათა ყმები ხდებოდნენ.

შიდა ქართლის მთიანეთში სამეფო ოჯახის წევრების კუთვნილი სოფლების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ,,ნუსხა ბაგრატ ბატონიშვილის სოფლებისა რუხულის ხეობაში“ (Hd-1464, 1789 წ. XVIII ს. მიწურული). ამ საბუთში ჩამოთვლილია გიორგი ბატონიშვილის შვილის, ბაგრატ ბატონიშვილის კუთვნილი ქართველების სოფლები ,,რუხულის ხეობაში“: საკორინთლო, ისროლის ხეობაზე და მეჯუდაზე: ქოლოთი, მეორე ქოლოთი, ვანი, ქოლოთ ქვიტკირიანი და სხვ. აგრეთვე ოსების სოფლები: ქარდისი, ქაშატური, ტბა, ვალიშვილები, ბენდერი, ნაქალაქევი და სხვ.[1] მეორე საბუთით, ბაგრატ ბატონიშვილს ეკუთვნოდა ყმა-მამული ისროლისხევში, აშატურში, ქოლოთში, საკორინთლოში, მერია ნაქალაქევში, ბოსელთასა და ცხრაწყაროში. მათი მფლობელობის სიგელი აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს დაკარგულიყო, ამიტომ 1796 წლის 14 აპრილს გიორგი ბატონიშვილმა ბაგრატ ბატონიშვილს ამ მამულების წყალობის წიგნი განუახლა (Hd-1522, ,,ბრძანება გიორგი ბატონიშვილისა ბაგრატ ბატონიშვილისადმი, მამულების ბოძების წყალობის განახლების შესახებ“). კიდევ ერთი საბუთის თანახმად, გიორგი ბატონიშვილმა ბაგრატ ბატონიშვილს უბოძა ,,ოძისი და მასშიგან მსახლობელნი გლეხნი სრულად, ზვარს გარდა, და აზნაურიშვილნი კორინთლები თავეთის მამულით“ (Hd-1465, 1797 წ. 9. IV). 1798 წლის 21 ივნისს გიორგი XII-მ (1798-1800) იოანე ბატონიშვილს ქსნის ხეობა უბოძა (Hd-14759 დ (პ)). ის, რომ ბაგრატ ბატონიშვილს ეკუთვნოდა ყმა-მამული ისროლისხევში, ქოლოთსა და მეჯვრისხევში, ამის შესახებ საუბარია ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრისა და სამეფოს გამგებლის დავითის ბრძანებაში ერთობით ისროლისხეველთა, ქოლოთელთა და მეჯვრისხეველებისადმი ბაგრატ ბატონიშვილისადმი მათი ყმობის შესახებ (Hd-1499, 1801 წ. 27. II). მეფის სძალს ქეთევანს ეკუთვნოდა სოფლები ცხრაწყარო და ბესელთა. ერთი საბუთის, ,,ბრძანება მეფის სძლის ქეთევანისა ცხრაწყაროელი და ბესელთელი ოსებისადმი საჩუქრებისა და ბეგარის მიცემის შესახებ“ (Hd-1497 - 1802.26. XII). თანახმად, მეფის სძალი ქეთევანი ცხრაწყაროელ და ბესელთელ ოსებს უბრძანებდა: *,,მერე თქვენ ხომ კარგად იცით, რომ ამდონი ხანია ჩვენი ყმანი ხართ და ჩვენ გვემსახურებით და ახლაც ჩვენი კაცნი მოვლენ და საჩუქარი და ბეგარა უნდა მომცეთ“-ო.*

1765 წელს ზაზა მაჩაბელმა თხოვნით მიმართა ერეკლე მეფეს: „რადგან თქვენის ბძანებით ოსი ქართლში ესახლება, ამთენი თქვენი წყალობა იყოს, რომ ჩემს მამულზედ ხელი აიღოს, რომ ვინც მინდა ის დავასახლო“(Qd-8703). საბუთს ახლავს მინაწერი, რომლის თანახმადაც ერეკლე მეფე აკმაყოფილებს ზაზა მაჩაბლის თხოვნას, რასაც ბეჭდით ამოწმებს. საბუთის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ მეფე ერეკლე ხელს უწყობდა ოსების ქართლში

[1] ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ ეს ტერიტორია ბატონიშვილების ხელში გადავიდა. იოანე ბატონიშვილს ეკუთვნოდა – ქსნის, საფეშეთის, ალევის, ცხრაზმის, ჭურთის, ქარჩოხის და ჟამურის ხეობები. იულონ ბატონიშვილს – პატარა ლიახვის ხეობა და გვერდისძირი, ბაგრატ ბატონიშვილს – მეჯუდისა და ისროლის ხეობები, საკორინთლო და ქოლოთ-ქვიტკირი, (**დ. გვრიტიშვილი**, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955, გვ. 330).

დასახლებას. შიდა ქართლში დასახლებული ოსების ნაწილი სახასო ყმებადაც იქცნენ. ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, 1779 წელს, ერეკლე მეფემ სახასო ყმებად გამოაცხადა პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობა, მათ შორის ოსებიც, ასევე გვიდისისა და ფორტისის, თლეელი და ჩიფრანელი ოსები (Ad-870). ერეკლეს პოლიტიკა გააგრძელა გიორგი XII-მაც. 1799 წლის ბრძანებით გიორგი მეფისა, თაგაურელი ოსები ქართლში გადმოსახლდნენ. მეფე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „როგორცა სანატრელი ჴელმწიფე მამა ჩვენი მწყალობელი იყო თქვენი, ჩვენ კიდევ უფრო მწყალობელიც ვიქნებით... ჩვენ სახასო ყმად იქნებით, რომ სხვას ვისმე თქვენთან საქმე არა ვის რა ექნებათ“ (Qd-1617). მეფემ მათთან მოსალაპარაკებლად აზნაური ნინია გაბაშვილი გაგზავნა და დაჰპირდა, რომ დროებით დიღომს დაასახლებდა, ხოლო შემდეგ უკეთეს ადგილზე დააბინავებდა (Qd-1617).

გადმოსახლებული ოსების სახით ყმა-გლეხები ემატებოდათ შიდა ქართლის ფეოდალებს და, ბუნებრივია, ისინი დაინტერესებული იყვნენ ოსების საკუთარ მამულში ჩასახლებით. ქსნის საერისთავოს მამულების შესახებ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შანშე ერისთავმა (1718-1753) 80 წელია რაც თავის მამულში დააყენა ოსები და სოფელი ააშენა, ხოლო დავით ერისთავმა (1753-1774) 40 წლის წინ ტყე გააკაფინა, მეორე სოფელი ააშენა და ოსები დააყენა (Qd-8820, XIX საუკუნის I მეოთხედი). დავით ქსნის ერისთავის დროს ოსების ჩამოსახლებს მოწმობს დოკუმენტი (Qd-8864, XIX ს. I ნახევარი).

შიდა ქართლის მთიანეთში გადმოსახლებულ ოსებს სამეფო ხელისუფლება აწვდიდა პურს, ფქვილს, ყველს, ხორცს, ღვინოს, ფარჩას. ამ რიგის მრავალი საბუთია შემორჩენილი, მათ შორის: ,,მიწერილობა იოანე ბატონიშვილისა მამასახლისისადმი, გივი ავალიშვილისა და ოსებისათვის ფქვილის მიცემის შესახებ“ (Hd-11763. 1789 წ. 1. VIII); ,,მიწერილობა ოსე ნაზირისა მამასახლისისადმი, ოსებისათვის პურისა და ფქვილის მიცემის შესახებ“ (Hd – 292. 1789 წ. 26 სექტემბერი); ,,მიწერილობა იოანე სახლთუხუცესისა მამასახლისისადმი, ჯაველ ოსებისათვის ღვინის მიცემის შესახებ“ (Hd-13376, 1790 წ. 26 მაისი); ,,მიწერილობა იოანე სახლთუხუცესისა მამასახლისისადმი, ჯაველ ოსებისათვის ყველის მიცემის შესახებ“ (Hd-13354, 1790 წ. 26. V); ,,მიწერილობა იოანე სახლთუხუცესისა მამასახლისისადმი, ჯაველ ოსებისათვის ფქვილის მიცემის შესახებ“ (Hd-13331, 1790 წ. 26. V); ,,მიწერილობა იოანე სახლთუხუცესისა მამასახლისისადმი, ჯაველ ოსებისათვის ღვინის მიცემის შესახებ“ (Hd – 12836, 1790 წ. 28. V); ,,მიწერილობა იოანე სახლთუხუცესისა მამასახლისისადმი, ჯაველ ოსებისათვის პურის მიცემის შესახებ“ (Hd-12703, 1790 წ. 29. V); ,,მიწერილობა იოანე სახლთუხუცესისა გორის მამასახლისისადმი, არაგვის ოსებისათვის პურისა და ღვინის მიცემის შესახებ“ (Hd-12580, 1790 წ. 2. VI); ,,მიწერილობა მამასახლისისადმი, ქეშიქჩიბაშ აიდემურ ასლანისა და ოსებისათვის ღვინის მიცემის შესახებ“ (Hd-13388, 1790 წ. 2. VI); ,,მიწერილობა გიორგი მეფისა ბაზაზბაშისადმი ოსებისათვის ფარჩის მიცემის შესახებ“ (Hd-12294, 1800 წ. 13. III).

თუმცა ოსები ზოგჯერ არ ამართლებდნენ სამეფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი ფეოდალების იმედებს. ისინი გადასახადს არ იხდიდნენ, ამიტომ ადგილობრივი ფეოდალები მათ აყრას ითხოვდნენ. ოსი ყმებით უკმაყოფილო თორნიკე ქსნის ერისთავი იოანე ავალოვს (ავალიშვილს) წერდა, რომ ხოფისა და ძეგლევის მამულში მდგარი ოსები არ უხდიდნენ

გადასახადს, ამიტომ მათ აყრას ითხოვს (Qd-8903, XIX ს. I ნახევარი). ასეთივე თხოვნით მიმართავს 1844 წელს იოანე ავალოვს, რომ გამოართვას დარჩენილი გადასახადები და შემდეგ აყაროს მისი მამულებიდან (Qd-8919). სამეფო ხელისუფლება წესრიგის დამყარებას ცდილობდა.

ჩამოსახლებულ ოსებს დაუწყიათ ადგილობრივი მოსახლეობის აკლება, ქურდობა, ტყვის სყიდვა. სოფლებზე თავდასხმები და ხალხის ძარცვა იმდენად გახშირებულა, რომ წესრიგის დასამყარებლად სამეფო ხელისუფლება ჩარეულა. 1771 წლის 2 მაისს ერეკლე მეფე საგანგებო დავალებას აძლევს გიორგი ყულარაღასს: *„თქვენ იცით ჩვენი ოსები. რომელნიც არიან ვანათის ოსები, ავკაცობენ და ბევრი რამ ჩვენი საწყენი საქმე ვნახეთ იმათგან. ახლა, ამჟამად, პურზედ ნაკლებად თურმე არიან და დაბალს ქვეყნებში თურმე დაიარებიან. ვინც იმათგანი ნახოთ დაიჭირეთ“-ო* (Qd-6961). საბუთში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ოსები მთაში სახლობენ და პურის შემოკლების გამო დაბლობში საძარცვავად ჩამოდიოდნენ.

ოსების მხრიდან ძარცვა-რბევისა და ქურდობის ფაქტებს სხვა არაერთ საბუთში ვხვდებით. 1788 წელს გიორგი ბატონიშვილს საგანგებო ბრძანება გაუცია ბარძიმ და ზაზა მაჩაბლებისადმი, რათა მათ ოს ყმებს პეტრე ავალიშვილისთვის მოპარული ხარები დაებრუნებინათ: „თქვენი ოსები თქვენ ვერ გაგიმაგრდებათ. ამას თავისი ხარები მიაცემინეთ სამართლიანის საქმითა“ (Qd-8691).

სამეფო ხელისუფლება ცდილობდა ქართველები და ოსები მოერიგებინა, ამისთვის პირობას ადებინებდა მათ აუკლებლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. საბუთში ,,ფიცისა და პირობის წიგნი ვანველ ოსთა და ქართველთა შორის აუკლებლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, იულონ ბატონიშვილის ოქმით“ (Hd-664, 1796 წ. 7. IV), ნათქვამია: *,,ესე ფიცისა და პირობის და ჯარიმის წიგნი დავდევით და მივეცით ერთმანეთს ... ვანველთ ოსმა და ქართველმა ვანათში მდგომმათ ოსებმა, დიაღ დიდათ შეგვაწუხეს ქურდობით, მძლავრობით, გაცარცვით, დაკლებით, რომ ამ ქვეყნიდამ გვკარგამდენ სადამდინაც შევიძლოთ ერთმანერთის შველა ან ქართველს კაცს ოსისაგან გაუჭირდეს რამე და ერთმანერთს უმტყუნოთ და დავაკლდეთ, ღვთისაც შემცოდე ვიყვნეთ, ბატონისაც და ერთმანერთისაც“.* 1798 წელს გიორგი XII მაჩაბლების, ცხინვალის მოურავ იოანესა და ერთობით ცხინვალელებისადმი ბრძანებაში აღნიშნავდა: აჩაბეთში ჩასულან ოსები და ცხინვალს ორი ურია აუკლიათ, ასევე კერესელიძეები, „რამდენიმე დღე არის თურმე ეგ ოსები ამ ბარძიმსა და ზაზას აწუხებენ და თქვენ არად გიდევნიათ რა. ეს საქმე ქვეყნისაც სამუხანათო არის და ჩვენიც დიდათ საწუნი არის“ (Qd-8685).

სამეფო ხელისუფლება ოსი დამნაშავეების შემორიგებას ცდილობდა. საბუთში, ,,თავდებობის წიგნი დაპატიმრებული კაცის განთავისუფლებაზე, მიცემული ბარძიმ მაჩაბლის მიერ ზურაბ ფალავანდიშვილისთვის“ (Hd-650, 1785 წ. 12. XI), ბარძიმ მაჩაბელი წერს ფალავანდიშვილს: გაგია სანაკოშვილი დაჭერილი გყვანდა. მას თავდებად ექვსი თავადი უდგება, ,,რაც იმ გაგიას დაედვას ამ ექვსმა კაცმა მოგცეთ“-ო. ამავე სახისაა ,,თავდებობის წიგნი, მიცემული გუსმათაურის მიერ ბაგრატ ბატონიშვილისათვის, რევაზა დუდაშვილის შემორიგების გამო (Hd-1493, 1800 წ. 16. III). ოსებს ართმევდნენ მძევლებს, რომელთა კვებაზე სამეფო ხელისუფლება ზრუნავდა. ამის თაობაზე საინტერესოა რამდენიმე

საბუთი: ,,მიწერილობა იოანე სახლთუხუცესისა თუმანიანისადმი, მძევალ ოსებისათვის ფქვილის მიცემის შესახებ“ (Hd-13256, 1790 წ. 4. VI); ,,მიწერილობა ბარძიმისა მამასახლისისადმი ხიშის ოსი მძევლისათვის ხორცისა და პურ-ღვინის მიცემის შესახებ“ (Hd-12720, 1791 წ. 5. VI); ,,მიწერილობა ბარძიმისა მამასახლისისადმი ჯავისხეველ მძევლებისათვის ღვინის მიცემის შესახებ“ (Hd-13206, 1791 წ. 5. VI).

ქურდ-ავაზაკ ოსებთან მოლაპარაკებაში ან მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველ თავად-აზნაურებს შიდა ქართლში დამკვიდრებული ოსები შველოდნენ. შალვა სანაყოშვილი და სხვა ოსები ტყვეების გამოხსნის გასამრჯელოს პატიების შესახებ ხელწერილს აძლევენ ზაალ დავითისშვილს. როგორც ირკვევა, ოსებს ,,წაუხდენიათ“ ზაალ დავითისშვილი. მას ,,ტყვეების დასაყრევინებლად“ შალვა სანაყოშვილისა და სხვა ოსებისათვის მიუმართავს და სამ-სამ მინალთუნს დაპირებია. შალვა სანაყოშვილს და სხვა ოსებს მომხდური ოსებისათვის ტყვეები დაუყრევინებიათ, მაგრამ რადგან ,,წამხდარი“ კაცი იყო, ზაალ დავითისშვილისგან გასამრჯელო არ აუღიათ (Hd-600 (2), 1801 წ. 14. IX).

შიდა ქართლის მთიანეთში ჩამოსახლებული ოსები რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც აგრძელებდნენ ქართულ სოფლებზე თავდასხმას, ძარცვავდნენ ეკლესიებს, მიერეკებოდნენ საქონელს. ეს კარგად ჩანს შემდეგ საბუთებში: ,,მიწერილობა გორის ოკრუგის უფროსისა ცხინვალს თავად დავით თარხანოვისადმი, ოსების მიერ ორი ეკლესიის გაძარცვისა და საქონლის გარეკვის შესახებ“ (Hd-4210, 1808 წ. 14. IX); ,,მოხსენება პატარკაც ლომსაძისა საქართველოს მმართებელ ახვერდოვისადმი სოფელ ნიქოზზე ოსების თავდასხმისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ (Hd-14239, 1808 წ. 17. VII).

ნიქოზში მცხოვრები მოურავის შვილი პატარკაც ლომსაძე საქართველოს მმართველს, სამოქალაქო გუბერნატორს, გენერალ-მაიორ თეოდორ ახვერდოვს (1807-1811) მოახსენებდა, რომ 1807 წლის ივლისში ოსები თავს დასხმიან სოფელ ნიქოზს და ცხენები გაუტაციათ. მთელი სოფელი გამოსულა მდევარში. ორმხრივ სროლაში მდევრიდან ორი კაცი დაუჭრიათ, მომხდურთაგან ერთი მოუკლავთ, რომელიც სოფელში ჩამოუსვენებიათ, ცხენებიც წაურთმევიათ. მეორე დღეს მოკლულის გვარიშვილები ჯიოანნი მოსულან, მათი ბატონები, ბაადურ და თეიმურაზ მაჩაბლები წინ მოუძღოდნენ. სოფელი შეთანხმდა, მომხვდური ოსის მკვლელი არ გამოეჩინათ და პასუხიც სოფელს ერთად გაეცა. სოფელმა მკვდარი ოსებს გადასცა, თან 12 კოკა ღვინოც მისცეს. აღდგომის შემდეგ ოსებმა სოფელს მტრობა დაუწყეს, მაისში სოფელი ერთიანად მოვიდა და შეურიგდა - ცხრა თუმანი თეთრი მიუციათ, პური უჭმევიათ და ოთხ თუმანსაც საშემოდგომოდ დაჰპირებიან, თუმცა ზაქარია ფავლენიშვილი და პატარკაც ლომსაძე გაურიგებლად დატოვეს, მკვლელი პატარკაც ლომსაძე არის და სხვა მდევარს თავი გაანებეთო. პატარკაც ლომსაძე ხელისუფლებას სთხოვს, სოფელთან ერთად იმ ოსებთან შეარიგონ.

მაჩაბლები ყოველმხრივ ცდილობდნენ ოსების თვითნებობის ალაგმვას. 1806 წელს ლუარსაბ მაჩაბლისა და მისი ბიძის ზაზას ყმები - ჯავის ხეობის ოსები, მძევლებს აძლევენ მათ ჭვრივის ხეობის ოსებთან ერთად იმის გარანტად, რომ აღარ იქურდებდნენ (Qd-9062). იმავე წელს დიდი ლიახვის ხეობის მცხოვრებნი პირობას დებენ, რომ ავკაცობისა და ქურდობის ჩამდენს არ შეიფარებენ, არც თავის სოფელზე გაატარებენ და არც ივაჭრებენ

მათთან. ამ შემთხვევაშიც ფიცის დასამტკიცებლად მძევლების დატოვება გამხდარა საჭირო (Qd-9036). თუმცა ქართველი თავადაზნაურების ძალისხმევა ქართულ სოფლებზე ოსების თავდასხმების აღსაკვეთად საკმარისი არ იყო.

რუსული ხელისუფლება ქართულ სოფლებზე ოსთა თავდასხმების აღკვეთას ცდილობდა. ამის შესახებ მოგვითხრობს შემდეგი საბუთები: ,,ბრძანება გორის ოკრუგის უფროსის მაიორ ლივენცოვისა ნინია ლალისაშვილისადმი ოსების მძარცველობის აღკვეთის შესახებ“ (Hd-13980, 1809 წ. 4. VII). რუსული ადმინისტრაცია ოსების თავდასხმებისაგან კონკრეტული პიროვნებების დაცვასაც ცდილობდა. გორის მაზრის უფროსის მოადგილემ ლივენცოვმა ცხინვალის მამასახლის ნინია ლალისაშვილს უბრძანა იობა და თომა ცერაძეები, რომლებსაც ოსები სისხლს ედავებოდნენ, ოსებისაგან დაეცვა. იგი მოითხოვდა, ოსები ცხინვალში არ შემოეშვათ, არც შერიგებული და არც შეურიგებელი (Hd-5088, 1809 წ. 30. V).

ოსი ავაზაკები, თვით ოსების სოფლებსაც იკლებდნენ. რუსული ადმინისტრაცია ცდილობდა დამნაშავე ოსები ხელში ჩაეგდო. თეოდორე ახვერდოვი 1808 წლის 30 ოქტომბერს დავით თარხან-მოურავს წერდა, რომ ავაზაკი ოსი ბესია ჯავის ოსებმა და სხვა მცხოვრებთ უნდა დაიჭირონო, რადგან *,,ის მიდის იმათთან საყაზახოთ ასაკლებად და მცხოვრებთა დასატყვევებლად, იმათი სოფლების შემაწუხებელია“- ო* (Hd-13968). გორის მაზრის თავადაზნაურობის მარშალი დავით ციციანოვი (ციციშვილი) ყორნისის ხეობის მცხოვრებლებისადმი ბრძანებაში წერდა, რომ მათ ოსები დაეჭირათ: *,,უმდევრებდეთ, სადაც ოსნი მოვიდნენ წასახდენათ... ავკაცნი ვინც ნახოთ, კიდეც მოკალით და კიდეც დაიჭივთ და მომგვარეთა“-ო* (Hd-7638, 1810 წ. 14. III).

რუსული ადმინისტრაცია ცდილობდა ცხინვალი და შიდა ქართლის სოფლები ოსების თავდასხმებისაგან დაეცვა. ,,მიწერილობაში პავლე ციციანოვისა რევაზ მაჩაბლისადმი ლიახვზე ოსებს შორის მშვიდობის დასამყარებლად შანშე ერისთავისშვილისთვის მიხმარების შესახებ“ (Hd-14775, 1804 წ. 31. V), ნათქვამია, რომ პავლე ციციანოვს შალვა ქსნის ერისთავისათვის, როგორც მაზრის თავადაზნაურობის მარშლისათვის, მიუწერია, ,,მივიდეს დიდს ლიახვზედ ოსებში, და იმათში მშვიდობა და მყუდროება დაიცვას“. რადგან მან იცოდა, რომ რევაზ მაჩაბელს დიდი პატივისცემა ჰქონდა დიდი ლიახვის ოსებისაგან, სთხოვს მივიდეს შანშე ერისთავისშვილთან და მას დაეხმაროს.

საქართველოს მთავარმართებელი დავით თარხანოვისადმი მიწერილობაში მისგან მოითხოვდა, ოსებისაგან ქართლის დაცვის შესახებ ღონისძიებები გაეტარებინა (Hd-4924, XIX ს. დასაწყისი); თეოდორე ახვერდოვი 1808 წლის 22 აპრილს დავით თარხანოვს წერდა ქართველი ყარაულების განწესების შესახებ ცხინვალში, ოსებისაგან მისი დაცვის მიზნით (Hd-8846, 1808 წ. 22. IV); გორის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი ლივენცოვი დავით თარხანოვისადმი მიწერილობაში შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ სოფლებში შეიარაღებული კაცების განწესებას ავალებდა მას. რუსულმა ადმინისტრაციამ სოფლებს შეიარაღებული კაცების გამოყვანა დაავალა (Hd-4931, 1809 წ. 22. VIII). 1808 წლის 14 ნოემბერს თეოდორე ახვერდოვი დავით თარხნიშვილს წერდა შიდა ქართლის სოფლები ოსების თავდასხმისა და აკლებისაგან დაეცვა. მას გორის ოკრუგის უფროსის, მაიორ ლივენცოვისათვის მიუწერია, რათა ყოველთვე გაეგზავნა ცხინვალში გარეშემო სოფლებიდან

ოცი შეიარაღებული ცხენოსანი თავიანთი სურსათით, ვიდრე სათანადო რაოდენობის კაზაკებს გაუგზავნიდა (Hd-7012). დავით თარხანოვს ლივენცოვისათვის შეუჩივლია, რომ მას მხოლოდ 19 ჯარისკაცი ჰყავდა. საპასუხო წერილში ლივენცოვი მოუწოდებს მას ოსებს დაელაპარაკოს, ცხინვალელებს კი ნუგეში უთხრას და გაამხნევოს, ჯარი მოვა და საშიში და საფიქრალი არაფერიაო (Hd-4927, 1809 წ. 18. VIII). რამდენიმე დღის შემდეგ, დავით თარხნიშვილმა კვლავ შესჩივლა ლივენცოვს, რომ ჯარისკაცები საკმარისად არ ჰყავდა. ამის პასუხად, ,,მიწერილობაში გორის მაზრის უფროსის მოადგილის მაიორ ლივენცოვისა კაპიტან დავით თარხანოვისადმი ოსების საკითხთან დაკავშირებით“ (Hd-7008, 1809 წ. 23. VIII), ლივენცოვი მას პასუხობს, რომ ის დამნაშავე არაა თუ ქართველი ჯარისკაცები არ ჰყავს, და ურჩევს, ცხინვალის მამასახლისს უბრძანე 6 კაცი მოგცეს, იშოვოს სოფლებში ოსები და ხუთ თუმანს ან ათ თუმნამდის დაპირდეს.

უცნობი პირი ,,წერილში ოსების შეთქმულების შესახებ კაპიტან-ისპრავნიკ გრიგოლ გორდევიჩთან“ (Hd-5072, 1809 წ. 10. VIII.), მას სთხოვს 40 ცხენოსანი ან ნაკლები იშოვოს, ,,განწესებულ კაცს გარდა“ მისთვის. ეს ცხენოსნები მივაბაროთო გოგია დავითაშვილს, რათა დადგეს ,,წუნარს საყდართან“ და იმ ადგილებში, რადგან მე ვერ მივსწვდები პატარა ლიახვიდანო. იქნებ დამიჩქაროთ რომ ჯარი მომივიდეს, თორემ რასაც ამბობენ ეს ,,მუხანათნი ოსნი“, თუ გამართლდა, დიდს განსაცდელში ვარ, რადგან მდევრად ასი კაცი უნდა მყავდეს ყოველთვის ცხენოსანი და ქვეითი. ,,სხუებ აქეთ არის ჯერ შეთქმულობა და ამ ორს დღეზე ამბობენ შეყრილობას ოსებისასა, რაიცა სწადიანთ საქმნელად მისთვის“.

1807 წ. 27 მაისს თეოდორე ახვერდოვმა მიმართვა გაუგზავნა არაგვის ოსებს (Hd-13965), ,,ორისავე ლიახვის მდინარეზედ მცხოვრებთ არაგვის ოსებს“, რომ კმაყოფილებით მიიღო მათი არზა, სადაც სინანულს გამოთქვამდნენ იმის გამო, რაც ქართლის მცხოვრებთათვის დაუშავებიათ. თუ ეს სინანული გულწრფელია, - წერდა ახვერდოვი, - ანგარიშს გაგიწევთ და ქართლში ყველგან თავისუფალი გზა გექნებათ; მოვალენი ხართ დააყენოთ ყარაულები იმ ადგილებში, რადგან ,,უშორეს მთებზედ მსახლობელნი კაცნი“ გადმოდიან და ,,მოჰკვეთოთ ყოველივე დაცემა ქართველთა სოფლებზედ“. თუ ქართველებთან ჩხუბი მოგივიდათ საჩივრით მიმართეთო ხელისუფლებას. ოსების თვითნებობა კვლავ გრძელდებოდა. 1810 წლის 17 მაისის პატაკით გენერალ-მაიორი ახვერდოვი საქართველოს მთავარმართებელს, ალექსანდრე ტორმასოვს (1809-1811) აუწყებდა, რომ გასულ და მიმდინარე წელს გორის მაზრაში ოსების მიერ ჩადენილი მკვლელობის, ყაჩაღობის და ხალხის გატაცების არაერთი ფაქტი დადასტურდა. დამნაშავეთა დასასჯელად ჯარის ნაწილი მზად იყო, მაგრამ ოსებმა როგორც კი შეიტყვეს ამის შესახებ, გორის მაზრის თავადაზნაურობის მარშლის თავად ციციანოვის და აზნაურ იოანე იალღუზიძის მეშვეობით შერიგება ითხოვეს. ხელისუფლება მზად იყო უკან გამოეწვია ჯარი იმ პირობით, თუ ოსები აღარ დაარბევდნენ ქართულ სოფლებს, არ იყაჩაღებდნენ, შეწყვეტდნენ ხალხის გატაცებას და ხოცვას (სოსიაშვილი, 2022, გვ. 93-94).

უაღრესად საინტერესოა ,,პირობის წიგნი ყმების მორჩილების შესახებ, მიცემული ელიზბარ ერისთავის მიერ რევაზ და ლუარსაბ ერისთავებისათვის“ (Hd-9222). 1812 წ. 10 აპრილს ელიზბარ ერისთავი პირობის წიგნს აძლევს თავის ძმებს, რევაზ და ლუარსაბ

ერისთავებს, ჩემი აზრი იყო, *,,ჩვენი საკუთარი ყმის ოსების საქმეზე, რომელიც ქართლსა მტერობენ და დიდათ აწუხებენ. ეს ჩვენი ყმანი ოსნი დამემორჩილებინა ღვთით ასე რომ ქართლის მტერობაზედაც ხელი აეღოთ და ჩვენი დებულობაც მოეცათ და თავთავისი ხვედრი სამსავე ძმას მისცემოდა და არც მმართებლობისაგან წყრომა და ვნება მოგვდგომოდა“.* რადგან ასე არ ისურვეთ, და *,,თქვენ იდევით თავს ამ ოსების დამორჩილება და საქართველოს მტერობაზე ხელის აღება და ჩვენი დებულება რომელიც მართებთ იმისიც გამორთმევა და ჩემის ხვედრის უკლებლად მიცემა, თქვენ განაგებდეთ ოსების საქმეს, მე ნება მომირთმევია და თუ ასე არ მოხდეს, თქვენის ბრძანებისამებრ იმათი დამორჩილება და მმართებლობისაგან წყრომა მოვიდეს, მე იმაში უბრალო ვიყო“.*

შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები არ ცნობდნენ ცარიზმის ხელისუფლებას და ქართველი უფლისწულების დროშის ქვეშ რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1804 წელს მძლავრმა აჯანყებამ იფეთქა მთიულეთში. აჯანყებაში ჩაებნენ შიდა ქართლის მთიანეთის - ჟამურის, ჭურთის, მუჯუხის ოსური თემები (ტოგონიძე, 1951, გვ. 115, 142). ალექსანდრე ბატონიშვილმა წერილები გაუგზავნა თაგაურელ ოსებს და რუსების წინააღმდეგ გამოსვლისკენ მოუწოდა, რასაც ისინი დადებითად გამოეხმაურნენ. ფარნაოზ ბატონიშვილი ქურთაულ ოსებს 1804 წლის 18 ნოემბერს მოუწოდებდა, ჯარით გამოსულიყვნენ, თაგაურელებს ამოდგომოდნენ მხარში და გზები შეეკრათ, რათა რუსებს ვერ გაევლოთ. ბატონიშვილი წერილში აღნიშნავდა, რომ თვითონ სტეფანწმინდაში იმყოფებოდა და ტფილისში აპირებდა წასვლას, სადაც მისი ძმა, ალექსანდრე ბატონიშვილი უნდა მოსულიყო სპარსელთა ლაშქრით (Hd-6457). თაგაურელებმა რუსის ჯარი არ გაატარეს დარიალის ხეობაში. 16 ივლისს აჯანყებულების დასახმარებლად 300 ოსი და ქისტი მოვიდა. იმავდროულად, ჩრდილოეთ კავკასიიდან გენერალი ნესვეტაევი გამოემართა 3000 ჯარისკაცითა და 30 ქვემეხით, სამხრეთიდან პავლე ციციანოვმა შეუტია არაგვის ხეობას. აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს რუსული არტილერიისა და რეგულარული ჯარის შეტევას. ოქტომბრის დასაწყისში აჯანყების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო (კობიაშვილი, 2018, გვ. 75).

აჯანყების ჩახშობის შემდეგ პავლე ციციანოვმა ექსპედიცია მოაწყო შიდა ქართლის მთიანეთში ოსების თემების დასასჯელად. 1804 წლის 13 ნოემბერს ექსპედიციამ სოფელი კროჟა სასტიკად ააოხრა, კოშკები დაანგრია, სოფელი გადაწვა (ტოგონიძე, 1951, გვ. 124). აჯანყების მეთაურებმა ლევან ნაზღაიძემ და შიო ბურდულმა ჟამურს შეაფარეს თავი. პავლე ციციანოვმა ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ ჩაეგდოთ ხელში ისინი. ბრძანების შესრულების მიზნით შანშე ქსნის ერისთავი შეიარაღებული რაზმით ჟამურში გაემართა, თუმცა აჯანყების მეთაურებმა მოასწრეს მისი დატოვება. შანშე ერისთავმა სოფელი, სადაც ისინი აფარებდნენ თავს, აგრეთვე მეორე სოფელი, სადაც მეამბოხეები იმყოფებოდნენ, გადაწვა და უკან დაბრუნდა (ტოგონიძე, 1951, გვ. 124).

1804 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ შიდა ქართლის მთიანეთში თითქოს სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ მალე ეს სიმშვიდე დაირღვა. 1807 წელს აბას მირზამ და ალექსანდრე ბატონიშვილმა ოსებში წერილები გააგზავნეს და აჯანყებისკენ მოუწოდეს. ალექსანდრე ბატონიშვილს მუდმივად ჰქონდა მიმოწერა დაღესტნელებთან, ყაბარდოელებთან, თაგაურელ ოსებთან, აგრეთვე ხევსურებთან და თუშებთან, რომლებიც

აჯანყებისთვის მზადყოფნის შესახებ ატყობინებდნენ (გელაშვილი, 2003, გვ. 265). თეოდორე ახვერდოვი დავით თარხანოვს (თარხნიშვილს) 1808 წ. 6 ივნისს წერდა, სოლომონ მეფე და ალექსანდრე ბატონიშვილი ოსებში წერილებს აგზავნიან და მთის ხალხების აღშფოთებას იწვევენო. ეცადეთ შეაგონოთ და დაარწმუნოთ ოსები, რომ ყოველი აზრი და სიტყვა მათი წერილებისა ტყუილია, გაარკვიეთ ვის მისწერეს წერილები და ასლის შოვნა თუ შეიძლება, იშოვეთ და გამომიგზავნეთო (Hd-13961). უკვე ერთი წლის შემდეგ, 1809 წლის 31 ივლისს, თეოდორე ახვერდოვი დავით თარხნიშვილს წერდა, ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გამოგზავნილი კაცების ოსი გამცილებელნი უკან მობრუნებულან, ეცადეთ დაიჭიროთ და გორში გამოაგზავნოთო (Hd-13962). 1809 წლის 11 აგვისტოს თეოდორე ახვერდოვი დავით თარხნიშვილს ამ საკითხზე კვლავ წერდა, *,,იმეცადინეთ რაც შეიძლებოდეს დაიჭიროთ ოსები გამცილებელნი ალექსანდრე ბატონიშვილისაგან გამოგზავნილის კაცებისა ოსეთში აღმაშფოთებელის წერილებით, მაგარის ყარაულით“*(Hd-13960).

იმავდროულად, ხელისუფლება ცდილობდა დაეყვავებინა ოსებისთვის, ლმობიერებით მოეგო მათი გული. თეოდორე ახვერდოვი დავით თარხანოვისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ დიდი ლიახვის ხეობის ოსმა მოხელეებმა და მცხოვრებლებმა საჩივრით მიმართეს ხელისუფლებას (Hd-13958, 1808 წ. III). ამის პასუხად თეოდორე ახვერდოვმა განცხადებით მიმართა ,,დიდის ლიახვის ხეობის ოსების უფროს უფროსთ კაცთ და ხალხთ“. განცხადებაში ნათქვამია, რომ მთავარმართებელ ივან გუდოვიჩს (1806-1809) სურდა პირადად მოესმინა ოსებისაგან რაც ,,მწუხარებები“ ჰქონდათ, ამიტომ თბილისში მოიწვია ,,თორმეტი კაცი მოხელეები უფროს უფროსნი“, რათა პირადად წარდგომოდნენ მთავარმმართებელს და მისთვის მოეხსენებინათ თავიანთი გასაჭირის შესახებ (Hd-6696, 1808 წ. 25. III). თეოდორე ახვერდოვი (1808 წ. 21. X) კაპიტან თარხანოვს (თარხნიშვილს) მოუწოდებდა ნარის ხეობის ოსებისადმი ,,ალერსით“ მოპყრობის შესახებ. როგორც ირკვევა, ნარის ხეობის ოსები 11 ოქტომბერს მისულან ახვერდოვთან მათი საზოგადო საჭიროებების შესახებ (Hd-6998). დიდი ლიახვის ოსებმა (1808 წ. 24. V) დავით თარხანოვს ერთგულების წიგნიც მისცეს (Hd-8852). ასევე, გერის ხეობის ოსებმა დავით თარხანოვს (1808 წ. 2. XII) პირობის წიგნი მისცეს ერთგული სამსახურის შესახებ: ,,დღეის იქით თუ ჩვენის ხეობის კაცმან ავკაცობა და ქურდობა ქნან სადმე, ამ თავდებებმან გადავიხადოთ... და რაც დღეს ჩვენს ხეობაში ნაქურდალი არის, ისიც ჩვენ მოგაბაროთ და აგრეთვე თუ დანაშაული აქვს ვისმე ისიც სამართლით ჩვენ გარდავიხადოთ. რაც სახელმწიფო ბეგარა არის ყოველთვის უკლებისთ გავიღოთ და საუკუნოთ ამ ერთგულებით მოვიქცეთ“-ო (Hd-10664).

ოსები თავიანთ პირობას ხშირად არღვევდნენ. ერთი ქართველი თავადი მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა ,,ოვსთა მიერ პირობის გატეხისა და ურჩობის შესახებ“. ქართველი თავადები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ დიდი ლიახვის ხეობის ოსები და ცხინვალში ჩამოეყვანათ, რათა ,,მშვიდობა და შერიგება“ მომხდარიყო. ის წერდა, აქამდე სურდათ ჩამოსვლა, ,,ტბეთს დაკარგული ქართველი“ ტყვეც ჩამოიყვანეს, რომელიც თავის პატრონს დაუბრუნდა, მაგრამ ახლა არ სურთ ჩამოსვლა და თავდებობის გარდა მძევლად ცხინვალელ ქეთხუდებს ითხოვენო (Hd-4277, XIX ს.).

თეოდორე ახვერდოვი დავით თარხანოვს წერდა, რომ განცხადებას აგზავნის ,,არაგვის ოსებთან, რომელნიც პატარასა და დიდის ლიახვის წყალზედ დგანან“, მათ მიერ შფოთის შეწყვეტის შესახებ. ახვერდოვი წერდა, განცხადებაში აღნიშნულიაო, ოსებს თუ ქართველებთან შფოთი მოუვიდეთ და ,,თქვენ თუ ვერ ძალგადგებათ კმაყოფილების მიცემა“, გორის ოკრუგის უფროსს წარუდგინეთო“ (Hd-4793, 1808 წ. 27. V).

გორის მაზრის უფროსის მოადგილე ლივენცოვი კაპიტან დავით თარხანოვისადმი 1809 წ. 23 აგვისტოს მიწერილობაში აღნიშნავდა, ცხინვალელი ოსების უკმაყოფილებასთან დაკავშირებით; უგზავნის 60 ცხენოსანი და თოფ-იარაღიანი კაცის სიას, რომელთა მეშვეობით, თუ სადმე მტერი გამოჩნდა, ამ რაზმით შეებას; ხმები ვრცელდება, ალექსანდრე ბატონიშვილი აპირებსო საქართველოში შემოჭრას მრავალი სათავადოს ჯარით, ეს სიცრუეა. ჯაშუშებისაგან გვაქვს ცნობა, ალექსანდრე ბატონიშვილი 60 კაცით, ყიზილბაშითა და რამდენიმე თავადისა და აზნაურის თანხლებით მოვიდაო ახალქალაქს. ქართლში რომ მოვიდეს, საყოფი არის ჯარი, ამას წინათ მოვიდა როტა ხერსონის პოლკისა, კიდევ ერთი როტა, ყოველივე ეს იცოდესო ცხინვალის მოსახლეობამ და ახლომყოფმა სოფლებმა. გამოუცხადეთო ,,მაგ მუხანათ ოსებს და მტრებსაც ჩვენსა და ორგულთა“ (Hd-6997). ხელისუფლებას ინფორმაცია ჰქონდა, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II შეხვდა ,,მისი ქვეყნის საზღვართან მისულ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელმაც შაჰისაგან ნაბოძები ფული ჩამოიტანა და მიზნად აქვს დასახული რუსეთის წინააღმდეგ აამხედროს ერთდროულად ახალციხის ფაშა, იმერეთი და კავკასიის მთებში მცხოვრები ოსები“ (АКАК, 1869, გვ. 163).

1810 წლის ივნისში ახალციხის საფაშოდან შიდა ქართლში, სოფელ კეხვში ჩამოვიდა ლეონ ბატონიშვილი, იულონის (ერეკლე II-ის ძე) ვაჟი. ლეონ ბატონიშვილი კარგად იცნობდა ამ მხარეს. იულონ ერეკლეს ძეს ციხე და სასახლე ჰქონდა სოფელ ბელოთში, სადაც მისი ოჯახი 1795 წლიდან მუდმივად ცხოვრობდა. ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარებამდე ქსნისა და გვერდისძირის მამულები იულონ ბატონიშვილის სამფლობელოს წარმოადგენდა. შესაბამისად, ამ მხარის მცხოვრებნი, მათ შორის ოსები, მისი ქვეშევრდომები იყვნენ. ლეონ ბატონიშვილმა შიდა ქართლში ჩამოსვლისთანავე დააგზავნა წერილები და მოსახლეობას აჯანყებისკენ მოუწოდა (ტყავაშვილი, 2008, გვ. 79; სოსიაშვილი, 2021, გვ. 236). მოწოდებას მაშინათვე გამოეხმაურნენ ჯავის ხეობის ოსები. შიდა ქართლის მთიანეთში აჯანყება დაიწყო. 31 ივლისს ლეონ ბატონიშვილი 2 ათას აჯანყებულთან ერთად, რომელთა უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ, ცხინვალისკენ გაემართა და მის აღებას შეეცადა. ცხინვალის რუსული გარნიზონის დასახმარებლად თბილისიდან ჯარის ნაწილები გამოაგზავნეს. მძიმე ბრძოლების შემდეგ აჯანყებულები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ (ბაგრატიონი, 1983, გვ. ; ტყავაშვილი, 2008, გვ. 80-81). ლეონ ბატონიშვილმა ჯავის ხეობას შეაფარა თავი. რუსები მის შეპყრობას ცდილობდნენ, მათ შორის, ოსების დახმარებით, თუმცა ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. სექტემბერში ლეონ ბატონიშვილმა წერილები დაუგზავნა ქსნისა და არაგვის ხეობების მოსახლეობას, აგრეთვე თაგაურელ და ქურთათელ ოსებს, და მათ აჯანყებისკენ მოუწოდა. სოლომონ მეფე და ლეონ ბატონიშვილი იმედებს ოსმალეთიდან და სპარსეთიდან დახმარებაზე ამყარებდნენ, მაგრამ ეს დახმარება არ ჩანდა, მათ გარეშე კი აჯანყებას წარმატება ვერ ექნებოდა. სექტემბერში რუსებმა დაამარცხეს სოლომონ მეფე,

რომელმაც ახალციხეს შეაფარა თავი. ამის შემდეგ, ლეონ ბატონიშვილის მდგომარეობაც უიმედო გახადა (ტყავაშვილი, 2008, გვ. 83-85).

1810 წლის სექტემბრის ბოლოს ლეონ ბატონიშვილის შესაპყრობად და აჯანყების ჩასახშობად რუსეთის ჯარის ნაწილები დაიძრა. 30 სექტემბერს რუსეთის ჯარებმა დაამარცხეს აჯანყებულები, რომლებმაც ჯავის ხეობას შეაფარეს თავი. რუსები ჯავის ხეობაში შეიჭრნენ, ოცი სოფელი დაწვეს, კოშკები დაანგრიეს. მოსახლეობამ რუსების სარდალს მორჩილება გამოუცხადა. ლეონ ბატონიშვილი ჩრდილოეთ კავკასიაში, ნარას ხეობაში გადავიდა (ტყავაშვილი, 2008, გვ. 84-85; სოსიაშვილი, 2021, გვ. 238). თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ,,ნარელთა სცეს მათ პატივი, ვითარცა პატრონსა თვისსა“ (ბაგრატიონი, 1983, გვ. 77). 1811 წლის ზაფხულში ლეონ ბატონიშვილი ბორჯომის ხეობით ახალციხის საფაშოში გადასვლას შეეცადა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ,,ლეონ, ვინადგან ვერღა დადგა ოვსეთს, წარვიდა ახალციხეს. მიიწია რა ხეობას, მოკლეს ლეკებთა მომავალთა ქართლს სადავლაოდ, მინდობით“ (ბაგრატიონი, 1983, გვ. 77).

შემდეგაც, კახეთის აჯანყების დროს, 1812-1813 წლებში, ალექსანდრე ბატონიშვილი ერთიანი კავკასიური კოალიციის შექმნას ცდილობდა, რაშიც ოსების დახმარების იმედი ჰქონდა. ამას ადასტურებს მისი წერილები ოსებისადმი (სოსიაშვილი, 2021, გვ. 240-241), თუმცა აჯანყება წარუმატებლად დასრულდა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე აჯანყებებში ოსების მონაწილეობა ქართველი ბატონიშვილების დროშის ქვეშ ნათლად ადასტურებს, რომ ისინი ბაგრატიონთა სამეფო სახლისა და ქართული სახელმწიფოს მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ადგილობრივი თავად-აზნაურები ადმინისტრაციულ საქმიანობაში ჩაება. გენერალ-მაიორი ფეოდორ სიმონოვიჩი თავადაზნაურობის მარშალს, ელიზბარ ერისთავს, წერდა, თანამდებობით დაკისრებული მოვალეობა ჯეროვნად შეესრულებინა და ოსები ხელმწიფისადმი ,,ჯეროვანსა წესსა და მორჩილებაში“ ჰყოლოდა (Hd-4998, 1813 წ. 8. VII). 1814 წლის ზაფხულში ჭვირივისა და პატარა ლიახვის ხეობის ოსთა უფროსად პოდპოლკოვნიკი, თავადი ელიზბარ ერისთავი დაინიშნა (Hd-3319, 1814 წ. 2. VIII). რუსული ადმინისტრაცია ცდილობდა ოსებიც ჩაება ადმინისტრაციულ-პოლიციურ საქმიანობაში. მაგალითად, იასაულად დაუნიშნავთ ბათრაჯა ჩოჩისშვილი. იასაული ბათრაჯა ჩოჩისშვილი ხელწერილს აძლევს გერის ხეობის პრისტავ იესე თუმანოვს ჯამაგირის მიღების შესახებ (Hd-10096, 1837 წ. 6. VIII). სავარაუდოდ, იასაული უნდა იყოს ნასყიდა ჩოჩისშვილი, რომელიც ასევე ხელწერილს აძლევს გერის ხეობის პრისტავ იესე თუმანოვს ჯამაგირის მიღების შესახებ (Hd-9892, 1837 წ. 7. VIII).

ოსები საქართველოში ჩამოსახლების პერიოდში წარმართები იყვნენ. რუსული ხელისუფლება ოსების გაქრისტიანებას ცდილობდა. 1816 წლისთვის არაგვისა და გერის ხეობის ოსები უკვე ახალგაქრისტიანებულნი ყოფილან. არქიეპისკოპოსი დოსითეოსი დარიგებას აძლევდა მათ: „რადგანაც იცანით ჭეშმარიტი სარწმუნოება... თანამდებხართ, რომ დაამტკიცოთ თქუჷნ შორის სიყვარული და მშვიდობა და აღარ მოიქცეთ უწინდელთა თქუჷნთა პირუტყვებრთა ჩუჷულებათა და ზნეთამებრ და გმართებსთ დიდი სიფრთხილეი,

რომ ერთმანეთში სისხლი და კაცის კულა არა მოგიხდესთ რა, ან ქურდობისა ან სხვისა ვითარისამე ავაზაკობის ქმნა“. ამასთანავე შეაგონებს, რომ ღვთისა და ხელმწიფის (რუსეთის იმპერატორის, - ავტ.) ერთგულება დაიცვან და არქიეპისკოპოსის დადგენილ მღვდელს დაემორჩილონ, ხოლო თუ გამოჩნდება ავაზაკი და კაცისმკვლელი, სოფლის თავკაცს უნდა აცნობონ (Sd-2127). ცხადია, ხელისუფლება ცდილობდა იდეოლოგიური ზემოქმედება მოეხდინა მათზე და ამით კრიმინალური ვითარება გაენეიტრალებინა. შეიქმნა ოსეთის სასულიერო კომისია; გაქრისტიანებული ოსებისთვის დაიწყო ეკლესიების მშენებლობა. 1818 წლის საბუთში ბეცია ფალავანდიშვილი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხარჯით ეკლესიებს უშენებენ ყორნისში მოსახლე ოსებს, რისთვისაც ჯამასპი, ლუარსაბ, ზაქარია და მიხეილ ხერხეულიძეებს დახმარებას სთხოვს (Sd-310).

საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე (1817-1821) ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსების გაქრისტიანებასაც აქტიურად ცდილობდა. 1820 წელს მან მოხსენება გაუგზავნა სინოდს ოსების გაქრისტიანებაში ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ (Sd-2826). ხელისუფლება ხელს უწყობდა იოანე იალღუზისძეს[2], მის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში, რათა მოძებნილიყო საშუალება კავკასიის ოსთა შორის ქრისტიანობის გასავრცელებლად. 1808 წ. 9 ნოემბრის წერილით თეოდორე ახვერდოვი დავით თარხან-მოურავს უბრძანებდა, გამოეცხადებინა იოანე იალღუზის ძისათვის, რომ მისი შრომისათვის მთავრობის მოწყალების გარეშე არ დარჩებოდა (Hd-7000). როგორც ცნობილია, იოანე იალღუზის ძემ 1820 წელს ქართული ანბანის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი; მანვე დაწერა ოსური სახელმძღვანელო ქართული ანბანით; ქართულიდან ოსურად თარგმნა “სახარება”, “ლოცვანი”, “კურთხევანი” და სხვ.

ოსთა თვითნებობისა და თარეშის აღსაკვეთად ცალკეული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა, არც მათი გაქრისტიანების მცდელობამ გამოიღო სასურველი შედეგი, ამიტომ რუსული ხელისუფლება გადავიდა სხვა დამსჯელ ღონისძიებებზე, როგორიცაა სოფლებში ეგზეკუციების ჩაყენება. 1821 წლის 9 თებერვალს გორის მაზრის უფროსი, მაიორი ტიტოვი სოფელ ბელოთში ჩავიდა და ქართველ თავადებთან ერთად რუსულ-ქართული რაზმით ოსებით დასახლებული 6 სოფელი გადაწვა, ამასთანავე ოსებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჩამოართვა. ამ სოფლების მცხოვრები ოსები ქართველი მღვდლის იოსებ ბაქრაძის მრევლს შეადგენდნენ. მღვდელმა იოსებ ბაქრაძემ საჩივრით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს თეოფილაქტეს (რუსანოვი). საჩივარში მღვდელი განმარტავდა, რომ

---

[2] იოანე იალღუზისძე (გაბარაევი), პუბლიცისტი, მთარგმნელი და კალიგრაფი. დაბადებული სოფ. ჯავაში 1770 წელს. სწავლა-განათლება მიღებული ქართველ ეპისკოპოსთა მეფეების ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე. აქ განისწავლა “ქართულსა საღმრთოსა წერილთა და ლოგიკოსობითა და ფილოსოფიითა”. მას, როგორც კალიგრაფს, რამდენიმე ქართული ხელნაწერი გადაუწერია. რუსების საქართველოში შემოსვლის შემდეგ ქართველდებული დავალებით ხელი მოჰკიდა ოსების წარსულის შესწავლას, რადგან რუსეთის ხელისუფლება დინტერესდა ჩრდილოკავკასიაში მცხოვრები ოსების გაქრისტიანებით. მას ეკუთვნის ქართულენაზე დაწერილი ლირიკული ლექსები და პოემა „იალღუზიანი“. მონაწილეობდა XIX ს. დასაწყისში საქართველოს ეგზარქოსის მიერ შექმნილი კომისიის მუშაობაში, რომელსაც ევალებოდა ეკლესიების მოგლეჯ-პატრონობა, დანგრეული ეკლესიების ნაცვლად ახლის აგება და როკის, კოშკის, მსხლების, ქეშელთისა და სხვა ხევებში გაქრისტიანებული ოსებისათვის ეკლესიების აშენება. გარდაიცვალა 1830 წელს სამოცი წლის ასაკში.

ეგზეკუციისას დაზარალდა სოფელი სოჭინი, სადაც ქვის ეკლესია იყო ახლადმონათლული ოსებისთვის, ასევე საქანანო, ზემო ვანური, ქვემო ვანური, ჯიგინა და თლათაანთსოფელი. ქართველი მღვდლის საჩივარს მალე მოჰყვა მაიორ ტიტოვის მოხსენებითი ბარათი კავკასიის კორპუსის მეთაურის, გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვის სახელზე. გორის მაზრის უფროსი განმარტავდა, რომ ფოტრისის ხეობის მღვდლის იოსებ ბაქრაძის საჩივარი მოკლებულია რეალობას, რადგან ის იმ დროს ადგილზე არ იმყოფებოდა და ინფორმაცია მიღებული ჰქონდა იმ ყაჩაღებისაგან, რომლებიც კიდევ უფრო სასტიკ სასჯელს იმსახურებდნენ. მაიორი ტიტოვი აღნიშნავდა, რომ სინამდვილეში, ლიახვის ხეობაში ჯარის ნაწილის ჩასვლისას, ყაჩაღებმა ნაცვლად იმისა, რომ მისი სამართლიანი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ, გატაცებული საქონელი მათ მსგავს ყაჩაღებთან გადამალეს ფოტრისის ხეობაში იმ იმედით, რომ უგზოობის პირობებში ჯარი ხეობაში შესვლას ვერ შეძლებდა. მხოლოდ ამის შემდეგ ვბრძანე, წამოეყვანათ გატაცებული ნახირის ადგილზე დარჩენილი ნახევარი და გადავწვით ადგილობრივი 27 ყაჩაღის სახლი შემდეგ სოფლებში - ბენდერში, შამბიეთში, სიათა-გნასურში, ელტურაში, ორტევში, ზემო ქიდინაში, მეფარეთში, ჭრიაში, ქიმასში, კოდობანში, ელბაქიძეებში, საბლეთში და ფუხაანთკარში (სოსიაშვილი, 2022, გვ.95-96).

კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მიერ ოსების მიმართ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ისინი კვლავაც აგრძელებდნენ დაუმორჩილებლობას, ამიტომ ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა შიდა ქართლის მთიანეთში, ოსთა განსახლების ადგილებში, სამხედრო ექსპედიცია გაეგზავნა მათი დამორჩილების მიზნით. 1830 წლის ივნისში ცხინვალში შეიკრიბა ჯარის ნაწილები, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ექსპედიციაში. თბილისის სამხედრო კომენდანტმა სტრეკალოვმა დაათვალიერა ეს ნაწილები. ამის შემდეგ 2 ათასი ჯარისკაცი ჯავისაკენ გაემართა. პირველი ოპერაცია ქეშელთელი ოსების წინააღმდეგ დაიგეგმა. ჯარის ნაწილი სახალხო ლაშქართან ერთად გენერალ-მაიორ პაველ რენენკამპფის სარდლობით ქეშელთელი და სხვა ოსების დასასჯელად გაემართა. ქეშელთელმა ოსებმა მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ რუსეთის ჯარის ნაწილებმა შეძლეს მათი დამარცხება. 25 ივნისს ქეშელთელებმა რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი დადეს. ამის შემდეგ, 5 ივლისს, ექსპედიცია მაღრანდვალეთისაკენ გაემართა. 11 ივლისს როკის, მაღრანდვალეთისა და კოშკის ხეობების ოსები იძულებული გახდნენ რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი დაედოთ. შემდეგ ექსპედიცია ჟამურის ხეობისაკენ გაემართა, ალყაში მოაქცია ჟამურელი ოსები და აიძულა იარაღი დაეყარათ. ჟამურელებმა რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი დადეს და რენენკამპფს მძევლები მისცეს. დამორჩილებულ ოსურ საზოგადოებებში რუსებმა წესრიგის დამყარება დაიწყეს - შემოიღეს რუსული მმართველობა, დაუნიშნეს ბოქაულები, დაუმორჩილებელი ოსები კი დაბლობში, ქართულ სოფლებში ჩამოასახლეს (ტოგონიძე, 1951, გვ. 51-55). სამხედრო ექსპედიციაში რუსეთის ჯარის ნაწილებთან ერთად მონაწილეობდა გორის მაზრის სახალხო ლაშქარი ათასი კაცის შემადგენლობით. სახალხო ლაშქარში მონაწილეობდა თავადი მალხაზ მაჩაბელი. მისთვის მიცემულ ,,ერთგულებისა და მხნეობის მოწმობაში“ მოთხრობილია ამ ექსპედიციის შესახებ (Hd-4275, 1830 წ.).

ოსები ამ ექსპედიციის შემდეგაც განაგრძობდნენ ურჩობას, რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც თავს ესხმოდნენ. გორის მაზრის უფროსი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისადმი 1837 წლის 1 იანვრის მოხსენებით ბარათში წერდა, რომ უცნობ ოსს დაუჭრია გერის პრისტავი, პრაპორშიკი იესე თუმანიშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს (Hd-8430). ასეთი ფაქტები ხდებოდა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ უკვე ძირითადად დაიმორჩილა ოსები.

ამრიგად, კავკასიის რუსული ადმინისტრაცია კომპლექსური ღონისძიებებით ცდილობდა შიდა ქართლის მთიანეთში გადმოსახლებული ოსების დამორჩილებას: სამხედრო ექსპედიციებით, მტკიცე საპოლიციო ზედამხედველობის დამყარებით, ადმინისტრაციულ-საპოლიციო საქმიანობაში მათი ჩაბმით, გაქრისტიანებით და მათში განათლების გავრცელებით. საბოლოოდ, ამ კომპლექსურმა ღონისძიებებმა განაპირობა ის, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში რუსეთის ხელისუფლებამ შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები სამხედრო-ადმინისტრაციულ მმართველობას დაუმორჩილა.

წყაროები და ლიტერატურა

ბაგრატიონი, თ. (1983). ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი. მეცნიერება.

ბატონიშვილი, ვახუშტი (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. IV. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

გელაშვილი, ა. (2003). კახეთის 1812 წლის აჯანყება. თბილისი. არტანუჯი.

სოსიაშვილი, გ. (2021). სამაჩაბლოს ისტორია. თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2022). პატარა ლიახვის ხეობის ისტორია. თბილისი.

ტოგონიძე, ვ. (1951). ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.). თბილისი. სახელგამი.

ტყავაშვილი, მ. (2008). ოსების 1810-11 წლების აჯანყება ლეონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, #2. უნივერსალი

АКАК, (1869). Акты собранные Кавказской Археографической Комисссией, т. III, Тифлис.